

## განმარტებითი ბარათი

### „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა მოქალაქეობისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა მიხედვით არსებითად მარტივდება მოქალაქეობისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებული პირობები და პროცედურები და რაც ითვალისწინებს ბაჟის ნაცვლად მომსახურების საფასურის დაწესებას.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან ზოგიერთი მუხლის ამოღება, რის შედეგადაც ბაჟის ნაცვლად გათვალისწინებული იქნება მომსახურების საფასური.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“, „ე“, „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების ამოღებას. ეს ქვეპუნქტები ეხება მოქალაქეობის მიღების, აღდგენის, დადგენის, მოქალაქეობიდან გახვედის, ემიგრაციის, მუდმივი და დროებითი ნებართვების გაცემის საკითხთა განხილვისთვის სახელმწიფო ბაჟს. ამ საკითხებიდან მოქალაქეობის 15 დღის ვადაში დადგენისთვის სახელმწიფო ბაჟი უქმდება, რაც დადებითად აისახება მოქალაქეობის დადგენის მსურველ პირთა მდგომარეობაზე. ხოლო სხვა მოქმედებებისთვის ბაჟის ნაცვლად დგინდება საფასური.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ხარჯების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას, ვინაიდან მოქალაქეობის, ბინადრობისა და ემიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტისათვის ბაჟი აღარ გადაიხდება, ხოლო აღნიშნული მომსახურებისთვის დაწესებული საფასური საირიცხება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშზე.

ამასთან, 2007 წლის განმავლობაში ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში საირიცხა თანხა მიახლოებით შემდეგი ოდენობით:

საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხის განხილვა - 4 000 ლარი

საქართველოს მოქალაქეობიდან გახვედის საკითხის განხილვა - 176 000

ლარი

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვა - 240 ლარი;

საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხის განხილვა - 113 500 ლარი;

დროებითი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების განხილვა - 480 000 ლარი;

მუდმივი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების განხილვა - 20 000 ლარი.

რაც შეეხება 2008 წლის ანალოგიურ მონაცემებს, 2008 წლის 7 თვის განმავლობაში ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა თანხა მიახლოებით შემდეგი ოდენობით:

საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხის განხილვა - 6 400 ლარი;

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვა - 7 200 ლარი;

საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვა - 600 ლარი;

საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საკითხის განხილვა - 74 000 ლარი.

ბინადრობის ნებართვების შესახებ განცხადების განხილვიდან 2008 წლის პირველ კვარტალში ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა თანხა მიახლოებით შემდეგი ოდენობით:

დროებითი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების განხილვა - 126 000 ლარი;

მუდმივი ბინადრობის ნებართვის შესახებ განცხადების განხილვა - 3 500 ლარი.

**ბ.ე) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

მოქალაქეობის, ბინადრობისა და ემიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტილ დაინტერესებულ პირებს ეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის ნაცვლად სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულება (დანქარებული მომსახურებისათვის საფასურის გაზრდილი ოდენობის სათვლით). ამასთან, პირი თავისუფლდება საქართველოს მოქალაქეობის დადგენისათვის განსაზღვრული ბაჟის (10 ლარის ოდენობით) გადახდის ვალდებულებისაგან, თუ ეს უკანასკნელი არ იხარგებლებს სააგენტოს მიერ შემოთავაზებული დანქარებული მომსახურებით.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

ვ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.